1. შსს აკადემიის სტუდენტები ვალდებული არიან გაიარონ თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო კურსები დადგენილი წინაპირობების დაცვით;

2. მე-3-7 სემესტრელები თავისუფლდებიან საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის პრაქტიკული სასწავლო კურსების სავალდებულო გავლისაგან;

3. შსს აკადემიის სტუდენტებს, თუ აკადემიაში სწავლისას ჩაბარებული აქვთ საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი, არ მოეთხოვებათ შესავალი საკონსტიტუციო სამართლის და საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის ჩაბარება;

4. შსს აკადემიის სტუდენტებს, რომლებსაც აკადემიაში სწავლისას ჩაბარებული აქვთ ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, არ მოეთხოვებათ ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი 1-ის (საჯარო მმართველობა) და ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი 2-ის (ადმინისტრაციული წარმოება) ჩაბარება;

5. შსს აკადემიის სტუდენტებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ აკადემიაში სამოქალაქო საპროცესო სამართალი 1 და სისხლის სამართლის პროცესი 1, უნდა გაიარონ სამოქალაქო სამართლის პროცესი 2 და სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი);

6. შსს აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, რომლებსაც აკადემიაში სწავლისას გავლილი აქვთ რომელიმე უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ოთხი საფეხური, უცხოური ენის მოდულის სავალდებულო კომპონენტი ჩაეთვალოთ შესრულებულად;

7. შსს აკადემიის მე-2-7 სემესტრის სტუდენტები თავისუფლდებიან თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსისაგან - უცხოური ენა იურისტებისათვის;

8. შსს აკადემიის მე-4-7 სემესტრის სტუდენტებს არ მოეთხოვებათ სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული საჯარო, კერძო, სისხლის სამართლის მოდულის, სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება;

9. შსს აკადემიის მე-3 სემესტრის სტუდენტებისთვის სავალდებულოა სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული საჯარო, კერძო, სისხლის სამართლის მოდულის, სამართლის საფუძვლებისა და ისტორიის კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება.